

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №66

2018 წლის 3 აგვისტო

## ქ. ლაგოდები

**ლაგოდების მუნიციპალიტეტის მშენებლობის ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ**  
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მშენებლობის ნებართვის ფორმა“ დანართის შესაბამისად.

### მუხლი 2

მშენებლობის ნებართვის წინა გვერდზე, მარცხენა მხარეს, გამოსახულია სახელმწიფო გერბი, ხოლო მარჯვენა მხარეს – მუნიციპალიტეტის გერბი, წარწერა „ლაგოდების მუნიციპალიტეტი“, მშენებლობის ნებართვის ნომერი, ნებართვის გაცემის თარიღი, მშენებლობის დაწყების თარიღი, ნებართვის მოქმედების ბოლო თარიღი, დამკვეთის დასახელება და მისამართი, მშენებლობის დასახელება, ფუნქციური დანიშნულება, მისამართი და მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი, პროექტის შემთავსებელი ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, ბრძანების ნომერი და თარიღი, ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და ხელმოწერა, ბეჭდის ადგილი და სანებართვო პირობები. მშენებლობის ნებართვის ქვედა მარჯვენა კუთხეში დაიტანება დამკვეთის, ნებართვის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს სახელწოდება, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით და რეგისტრაციის ნომერი. მშენებლობის ნებართვის მეორე გვერდზე ჩანაწერები არ კეთდება.

### მუხლი 3

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მშენებლობის ნებართვა შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) რელიეფურ დამცავ ბადეს;

ბ) ნუმერაციას საღებავით, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ქვეშ ნათდება;

გ) მუნიციპალიტეტის გერბს, რომელიც გახედვისას ჩნდება გამჭვირვალედ.“.

### მუხლი 4

გამოცხადდეს ძალადაკარგულად ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 8 დეკემბრის №44 დადგენილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მშენებლობის ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 050111, 05/01/2011, 330010040.35.167.016028).

### მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

